…მაისს, გამარჯვების დღეს და… დიდების მემორიალის გა… გურჯაანში. ეს იყო ნამდვილი … ზეიმი. გურჯაანის რაიო… მშრომელებმა უკვდავების … აღმართეს ჯარისკაცი — … თავისუფლებელი. კვარცხლ… აღმართული ჯარისკაცის მა… გიორგი მახარაშვილი ამაყად … ცქერის ალაზნის ველს — … ელი კაცის სიმდიდრეს.
…ლის ავტორია სახელმწიფო … რუსთაველის პრემიების ლაუ… …, საქართველოს დამსახურე… მხატვარი მ. ბერძენიშვილი.

• • •

…ურათზე: დიდების მემო…ალური კომპლექსის გახსნა გუ…ანში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ [illegible]1 (6156)

11

1978 წ. მაისი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

ქალი რეკორდით აღნიშნა...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა დედაქალაქის მშვილდოსანთა პირველობა, რომელიც გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

ქალთა შორის კვლავ შესანიშნავად იასპარეზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქეთევან ლოსაბერიძემ.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ლოსაბერიძე მშვილდოსნობას წლეულს დაუბრუნდა. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში სცადოს ძალა. ქეთევანი წლეულს თითქმის ერთი თვის მანძილზე სამ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა და წარმატებითაც — საქართველოს 12 რეკორდი გააუმჯობესა. ამჯერად მან რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში კიდევ ერთი — მეცამეტე შესწორება შეიტანა — 60 მეტრზე შეჯიბრებაში 331 ქულა მოაგროვა, რაც მის ადრინდელ მიღწევას 14 ქულით სჯობს და მხოლოდ ქულით ჩამორჩება სპორტის დამსახურებული ოსტატის ზ. რუსტამოვას საკავშირო და მსოფლიო მიღწევებს.

ლოსაბერიძეს ამ ტურნირში პირველობას ეცილებოდა კიდევ ორი საერთაშორისო კლასის ოსტატი (აღარას ვამბობთ სხვა ოსტატებზე). მათთან ჭიდილში ქეთევანმა 1247 ქულა მოაგროვა და 96 ქულით ჩამოიტოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ა. ზამისლოვა, რომელმაც II ადგილი დაიკავა. ლოსაბერიძის შედეგი სპორტის ოსტატის ნორმას 127 ქულით აჭარბებს. ამ შეჯიბრებაში III ადგილი ერგო სპორტის ოსტატ ტ. შინკარიოვას („ლოკომოტივი") — 1109.

ვაჟებში უძლიერესი გახლდათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ტროპინი („კოლმეურნე") — 1116. მომდევნო ადგილებზე არიან სპორტის ოსტატები გ. არჩვაძე („ბურევესტნიკი") — 1091 და ა. კაპიტანოვი („ლოკომოტივი") — 1090.

რ. კაცობაშვილი.

ორი ღონისძიება

სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გამარჯვების დღეს მიუძღვნეს მძლეოსნური ჯმანათრბენი „ცხინვალის წრე" და ავტო-მოტო გადარბენა მარშრუტით: ცხინვალი — გორი — ცხინვალი.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში (მოსწავლეთა შორის) 12 კოლექტივი ასპარეზობდა. ყველას აჯობეს ქალაქის მე-9 სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო სპორტსაზოგადოებებს შორის უძლიერესნი იყვნენ განთიადელები.

გორში ავტო-მოტო გადარბენის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ჯარისკაცის ძეგლი. მიტინგზე ლექსები წაიკითხეს პოეტებმა რ. ასაევმა, გ. ძუგაევმა და სხვებმა. მოგონებებით გამოვიდა გადამდგარი პოლკოვნიკი, მწერალი ნ. გაგლოევი.

ვ. მელქოევი.

კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი

გულის სითბოც ჩააქსოვეს

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ყოველ ახალ საქმეს თუ წამოწყებას თან ახლავს ფიქრი და განსჯა, მრავალი წინააღმდეგობა და პრობლემა. ისიც ცხადია, რომ თუ სიახლე თავის თავში კეთილ მიზნებს აერთიანებს და იმედიან მერმისს ეხმიანება, იგი უთუოდ გაიკვლევს გზას და ფართო ასპარეზზე გავა.

საქართველოს სპორტკომიტეტის ინიციატივა — ჩვენი სახელოვანი თანამემამულის კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად მოკრივეთა საკავშირო მემორიალის ჩატარება — ქართული კრივის აღორძინების, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სპორტსმენთა დაახლოება-დამეგობრების სურვილითაც იყო ნაკარნახევი და, ამდენად, შემთხვევითი არაა, რომ სიტყვას საქმე მოჰყვა და მემორიალმა მყისვე მოიპოვა „მოქალაქეობის" უფლება. არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს შესანიშნავი ღონისძიება მაისის მომხიბლავი მზით გაცისკროვნებულ დღეებში, ფაშიზმზე გამარჯვების საზეიმო დღეებში ტარდება.

• • •

თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატის ეგიდით გამართული ცხარე და უკომპრომისო ორთაბრძოლების შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ განელებულა, რომ მზიურ გორს დიდი კრივი ეწვია. დიდიო რომ ვამბობთ, ამ სიტყვას მეტნაკლებად პირობითად ვხმარობთ, რადგან კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი სპორტული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, რანგითა და მასშტაბურობით საკავშირო ჩემპიონატებს ვერ გაუტოლდება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საკმაოდ „ნოყიერი ლუკმაა" ტყავის ხელთათმნის ოსტატთა შერკინებებს მონატრებულ ჭეშმარიტ გულშემატკივართათვის. კრივის თაყვანისმცემლები კი ნამდვილად არ მოჰკლებია გორის ცირკის არენაზე მოწყობილ რინგზე გამართულ უშეღავათო სპორტულ პაექრობას მთელი ოთხი დღის განმავლობაში.

სპორტი სპორტად, მაგრამ განა შეიძლება იმ გულითადი, მეგობრული ღიმილით გამთბარი ატმოსფეროს დავიწყება, რაც მემორიალის დაწყებამდე, მისი საზეიმო გახსნის დღეს და რინგს მიღმა, ქალაქის ქუჩებში, ი. ბ. სტალინის სახელობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმში, სახელდახელოდ გამართულ სალამოებზე სუფევდა? და მერე, როცა საბოლოოდ ჩამოჰკრეს გონგს და სპორტული ჟინიც ასე თუ ისე დაცხრა, როცა უკანასკნელი ორთაბრძოლაც შედგა და ყველა ადგილი, ჯილდო და პრიზი განაწილდა, ფეხზე წამომდგარი კმაყოფილი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს პროჟექტორებით გაჩახჩახებულ რინგის კვადრატზე ჩამწკრივებულ, უკვე დაღლილ დაქანცულ სპორტსმენებს, ჩვენი ქვეყნის 11 ქალაქის წარმომადგენლებს, ტაშს უკრავდნენ, აგრეთვე, ძვირფას და საპატიო სტუმრებს, „მცირე მიწის" ქარცეცხლიანი ბრძოლების მონაწილეებს, მე-18 არმიის ყოფილ მეომრებსა და ჩვენი გამოჩენილი თანამემამულის კონსტანტინე ლესელიძის თანამებრძოლებს: გენერალ-ლეიტენანტ **ნ. სოლოვეიჩიკსა** და გენერალ **ნ. კოსტევს**, გენერალ **ვ. ზარელუასა** და ლეგენდარული მხედართმთავრის ვაჟს — პოლკოვნიკ **ო. ლესელიძეს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **თამარ გოთუას**, პოლკოვნიკებს — **ა. მარფინს, ვ. იაცენკოს, მ. მიაგკოვს, მ. კუშნირს**, საზღვაო მედესანტე **ა. მუსიევსა** და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორს (იგი ავტორია წიგნისა „ლესელიძე") **მ. დავითაშვილს**, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს **ო. დიდებულიძეს**, დიდი სამამულო ომის გორელ ვეტერანებს: **ა. ქუჩუკაშვილს, შ. აბესაძეს, ნ. ყანჩაველსა** და სხვებს.

მოკრივეთა ტრადიციული, რიგით მეორე, საკავშირო ტურნირის დღეებში კიდევ ერთი ადამიანი იყო საყოველთაო ყურადღების ცენტრში — დავით კვაჭაძე, სსრ კავშირის ორგზისა და ევროპის 1977 წლის ჩემპიონი, რომელიც, ამჯერად, გულშემატკივართათვის უჩვეულო, შეჯიბრების მთავარი მსაჯის როლში მოგვევლინა. თავის აზრს ამ მემორიალის და საერთოდ, ჩვენი კრივის შესახებ დავითი უფრო ქვემოდ გაგვიზიარებს, ახლა კი თვით ასპარეზობის დღიურს გადავხედოთ.

შეჯიბრების პირველი ორი დღე წინასწარ შეხვედრებს დაეთმო. აქ მოულოდნელი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ძალაში იყო სპორტის ერთი შეხედვით ულმობელი, მაგრამ სამართლიანი კანონი — ძლიერი იმარჯვებს სუსტზე, რადგან წარმატებები იმისი წილხვედრია, ვინც საყვარელ საქმეში მეტ მონდომებას, ნებისყოფასა და გულის სითბოს აქსოვს.

7 მაისს, მემორიალის საზეიმოდ გახსნის შემდეგ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა გორელმა ოსტატობის კანდიდატმა 18 წლის ნ. ანდღულაძემ (მსუბუქი წონა), მან აშკარად დაჯაბნა გამოცდილი ლ. სიმონიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორთაბრძოლის მიწურულს წარბი დაუზიანდა, ფინალში ვერ იასპარეზა და მესამე ადგილს დასჯერდა. პირველი ქვესაშუალო წონითი კატეგორიის თბილისელმა მოკრივემ ო. ქერიმოვმა თანაბარ ბრძოლაში დაამარცხა ქუთაისელი ი. მახარაშვილი და ფინალში გავიდა. ამავე წონითს კატეგორიაში მეორე ფინალისტი გამოვლინდა თბილისელი ოსტატობის კანდიდატის ტ. ცაბოლაშვილისა და ოდესელი ს. ლოპატინის შეხვედრაში. ქართველმა მოკრივემ ძლიერი პირდაპირი დარტყმით პირველივე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, შესვენების შემდეგაც ავი დღე აყარა მას და რეფერი იძულებული გახდა ტარიელის აშკარა უპირატესობის გამო შეეწყვიტა ორთაბრძოლა.

კრივი, როგორც სპორტის ნებისმიერი სხვა სახეობა, სპორტსმენისაგან მრავალმხრივ მომზადებასთან ერთად ძალების რაციონალურად განაწილების ცოდნასაც მოითხოვს. ფიზიკური თუ ნებელობითი ენერგიის ხარჯვის ხელოვნება ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ასე მოხდა სპორტის ოსტატ ა. ჯავახიშვილისა (თბილისი, 67 კგ) და ოსტატობის კანდიდატ ზ. კინწურაშვილის (ფოთი) შეხვედრაში. თბილისელი მოკრივე შეეცადა პირველივე რაუნდში მოეპოვებინა გადამწყვეტი უპირატესობა, ძალების მაქსიმალური დაძაბვით ნაწილობრივ მიაღწია კიდეც საწადელს, მაგრამ ცეცხლოვანი ტემპი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, მეორე-მესამე რაუნდი მეტოქეს დაუთმო და ფინალის მიღმა დარჩა. მისი ბედი გაიზიარა ცხინვალელმა უ. ტანტაევმა, რომელიც აშკარა უპირატესობით დაამარცხა ბ. მამულაშვილმა (რუსთავი). ფინალისკენ მიმავალ გზაზე ბათუმელმა ა. ჩხაიძემ (71 კგ) ქულებით მოუგო ვოლგოდონელ ვ. ერემეევს, ა. შოშიაშვილმა (გორი, 75 კგ) — ა. შევჩუკს (ოდესა), რ. ბიგილაევმა (ცხინვალი, 81 კგ) — ა. სირბილაძეს (თბილისი), ჯ. კოკოევმა (ცხინვალი, 81 კგ) — რ. პროსკურინს (თბილისი).

როცა უკან რჩება სასტარტო „ციებ-ცხელება" და პირველ შეხვედრებთან დაკავშირებული მღელვარება, როცა შეჯიბრება ფინიშს უახლოვდება და ნათლად იკვეთება კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალი გზის კონტურები, სპორტსმენთა პასუხისმგებლობაც და გულშემატკივართა ინტერესიც ერთიორად იზრდება. სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ კრივში ყველა ორთაბრძოლა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, მაგრამ სულ სხვაა ფინალი, როცა სარბიელს მხოლოდ ორი მოცილე, საბოლოო გამარჯვების ჟინით შეპყრობილი ორად-ორი სპორტსმენი შემორჩება. თითოეული მათგანი თავგამოდებით ცდილობს სწორედ ამ შეხვედრაში

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სურათზე: გორელმა ა. შოშიაშვილმა ნოკდაუნში გაგზავნა ცხინვალელი ბ. გასოევი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



გამარჯვების დღეს მიეძღვნა

კ რ ი ტ ე რ ი უ მ ი

ველოსიპედისტთა ასეთი შეჯიბრება საქართველოს უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით 9 მაისს ჩატარდა თბილისში.

დისტანცია სასტუმრო „ივერიიდან“ ლენინის მოედნამდე და უკან სპორტსმენებს ათჯერ უნდა გაევლოთ. მისი სიგრძე 24 კილომეტრს უდრიდა. ათი საშუალედო ფინიშის ჯამში იმარჯვა ვ. ვარსიმაშვილმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. სივოყელეზოვი და კ. იოვიძე.

გამარჯვებულებს პრიზები გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ო. ფხაკაძემ.

* * *

სურათზე: ო. ფხაკაძე აჯილდოებს პრიზიორებს (მარცხნიდან) ა. სივოყელეზოვს, ვ. ვარსიმაშვილსა და კ. იოვიძეს.

ჯ. ლომაძის ტექსტი და ფოტო.

ასპარეზობდა 200-მდე გულშემატკივარი

9 მაისს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკსა და შაშში.

სასპარეზოდ 200-მდე გულშემატკივარი მოვიდა. ერთდროული თამაშის სეანსებში ისინი შეხვდნენ ოსტატებს, საქართველოს ჩემპიონ გ. ზაიჩიკს, თამარ ხუგაშვილს, ა. ბოკუჩავას, ა. ბუსლაევს, ა. ბლაგიძეს, ოსტატობის კანდიდატებს ნ. ჩახოიანს, ე. მიქაელიანს და სხვებს. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა.

მოშაშეებს ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ოსტატი ს. თომაშვილი.

კანდიდატთა შორის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ცნობით 1978 წლის სახელმწიფო პრემიებზე საკონკურსოდ წარმოდგენილ კანდიდატურის სიაში სხვებთან ერთად არიან ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის პროექტის შემქმნელი ჯგუფის წევრები — არქიტექტორები ა. და **გ. ჭურდიანები**, ინჟინერ-კონსტრუქტორი **შ. გაზაშვილი.**

ჩვენ ეკითხებით

ზუგდიდი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მრშაშეთა გუნდურ პირველობაში 15 კოლექტივი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა.

* * *

ზუგდიდის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით მოეწყო მოჭადრაკეთა შეჯიბრება. სარბიელზე გამოვიდა 15 საშუალო სკოლის გუნდი (თითოეულში 7 ბიჭი და 2 გოგონა).

I ადგილი დაიკავეს 1-ლი საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა.

ჯ. ფიფია.

(ჩვენი კორ.).

...ამაზე უნდ
დაფიქრდნეს

პროფკავშირთა სპარტაკიადა

თბილისის „ლოკომოტივის“ დარბაზში მოწყობილ ორ ხალიჩაზე საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადის პროგრამით თავისუფალ ჭიდაობაში ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგა გამოცდილება და ახალგაზრდული შემართება.

თითქმის ყველა წონით კატეგორიაში იყვნენ ფავორიტები, რომლებსაც ბევრ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებაში წარმატებით უსპარეზიათ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სწორედ ამგვარი ფალავნების დამარცხება ყველაზე მეტად ესახელებათ და მათთან ჭიდილში ცდილობენ გამოავლინონ ყველაფერი, რაც მწვრთნელებისა თუ ტოლებისგან უსწავლიათ.

განსაკუთრებით ქების ღირსია სპორტის ოსტატობის კანდიდატის გ. ქენქაძის („ბურევესტნიკი“) შემართება. მას რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელები პერსპექტიულ, კარგი მოშავლის მოჭიდავედ თვლიან და, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ აღრიცხვაზეც ყავთ აყვანილი. ეს ჭაბუკმაც კარგად იცის. შესაძლოა ამიტომ ახლაც ყველა ბრძოლას დიდი აღმავლობით, მონდომებით ატარებდა. მართალია, მას სპორტის ოსტატ ი. ლეგაშვილის („კოლმეურნე“) სახით კერკეტი მოწინააღმდეგე შეხვდა, მაგრამ ქენქაძე უფრო გამოცდილ ოსტატთან ბრძოლაში როდი შეკრთა — მეტოქეს მუდამ ჯიქურ უტევედა, რამაც ლეგაშვილი აიძულა დაცვაზე ეფიქრა.

ლეგაშვილი მთელ ტურნირში მხოლოდ ქენქაძესთან დამარცხდა — მსაჯებმა მესამე გაფრთხილება მიცეს, თორემ ახალგაზრდა მეწყვილეს დროდადრო ტოლს არ უდებდა. ეს წაგება ლეგაშვილს ჩრდილს სულაც არ აყენებს, დასანანი მხოლოდ ისაა, რომ არბიტრთა სწორი გადაწყვეტილებით რატომღაც განაწყენებულმა სარბიელზე მეტოქეს ხელი არ ჩამოართვა.

შეწვედრები კარგად ჩაატარეს. აგრეთვე „განთიადის“ გუნდის წევრებმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. მარშანიამ და სპორტის ოსტატმა ვ. გელაშვილმა, „შრომითი რეზერვების“ მოჭიდავემ სპორტის ოსტატმა მ. მერმანიშვილმა, „კოლმეურნეს“ წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ტ. აბსავამ და სხვებმა.

ტურნირი უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ყველა სპორტსაზოგადოებას, მათ მწვრთნელებს გუნდების დაკომპლექტებისთვის მეტი ეზრუნათ, ასპარეზობაზე სრული კოლექტივებით ჩაბმულიყვნენ.

სპარტაკელმა სპორტის ოსტატმა ნ. ბექურიშვილმა გუნდის ინტერესები არად ჩაადგო და აწონვაზე არ გამოცხადდა. „სპარტაკის“ გუნდის წევრებზე იქნებ იმანაც იმოქმედა, რომ ლიდერის გარეშე უსპიროდ იბრძოდნენ — ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

„სპარტაკს“ ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა აქვს, მწვრთნელთა და სპორტსმენთა კარგი ძალებიც გააჩნია, ამიტომაც მისი ნაკრების ამ ტურნირში უფერული გამოსვლის მიზეზები რესპუბლიკური საბჭოს სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა ალბათ იმაზე იმსჯელებს, რომ ამ საზოგადოებაში მომუშავე თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელები უღირსად მოიქცნენ, როცა სპარტაკიადის სამანდატო კომისიისა და მსაჯთა კოლეგიის მოტყუებას შეეცადნენ.

სპარტაკიადის დებულებით ერთ სპორტსმენს ორ სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობის უფლება არ აქვს. ეს სწორი გადაწყვეტილება ნაკერნახევია სპარტაკიადის მასობრიობით, იმით, რომ რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი გამოიცადოს საქართველოს საგაისო სპარტაკიადისთვის. „შრომითი რეზერვების“ გუნდში ერთი და იგივე გ. ბაკაშვილი ორიოდე კვირის წინ კლასიკურ ჭიდაობაში ცდიდა ძალას, VI ადგილი დაიკავა და კოლექტივს 3 ქულა მოუტანა, ახლა კი, თავისუფალ ჭიდაობაში V ადგილზე გავიდა.

მთავარ მსაჯთა კოლეგიამ ბაკაშვილის შედეგი სამართლიანად გააუქმა.

კიდევ ერთი ფაქტის შესახებ. ტურნირში ძალიან ხშირი იყო სპორტსმენთა მიერ „ლოკომოტივის“ სპორტდარბაზის ექიმის ქ. ესაკიას დახმარებით უხერხულ მეტოქეებთან შეხვედრიდან თავის არიდების შემთხვევები. შვიდი ასეთი „მოწყალების“ ცნობის გაცემა ერთი შეჯიბრებისთვის მეტისმეტი ხომ არ არის?

სათანადო სიმაღლეზე არ იყო მსაჯობის ორგანიზაციაც — არბიტრების უცმარობის გამო ერთი და იგივე კაცი ზედიზედ რამდენიმე ორთაბრძოლას სჯიდა. ალბათ, მართალი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი თ. გასვიანი, რომელმაც საყვედური გამოთქვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებზე, რომლებიც ამ სახეობაში სპეციალდებიან, პრაქტიკული ჩვევებს ამ ინსტიტუტის ამგვარ შეკავებულ ... ეგზამენი ასეთი ... თხვევებს თვითონ უნდა ეძებდნენ.

გაგაცნობთ პრიზიორებს: 48 კ. გ. ცეცაძე („განთიადი“), ზ. ... რია („კოლმეურნე“), ლ. ჭრიკიშ („ბურევესტნიკი“);

52 კგ. ტ. აბსავა („კოლმეურნ... ნ. მარგიევი („განთიადი“), ბ. ... ლაძე („ვოდნიკი“);

57 კგ. მ. ჩხაიძე („სპარტაკ... ზ. მაისურაძე („განთიადი“), ჯ. ... ლეჯიშვილი („კოლმეურნე“);

62 კგ. გ. ქენქაძე („ბურევესტ... კი“), ი. ლეგაშვილი („კოლმეურნ... რ. მურაჩაშვილი („ლოკომოტივი“);

68 კგ. ა. მშვენიერაძე („ლოკომ... ტივი“), გ. ლაგვილავა („კოლმ... რნე“), მ. ხითარიძე („სპარტაკი“);

74 კგ. მ. იმერლიშვილი („შ... რეზერვები“), თ. გაბოძე („კოლმ... რნე“), ნ. როსტომაშვილი („განთ... დი“);

82 კგ. ნ. ბუთხუზი („განთიადი“), ... გ. მოდოსიანი („ბურევესტნიკი“), ... ხიზანიშვილი („შრ. რეზერვები“);

90 კგ. ვ. მარშანია („განთიადი“), ... ი. ბუბაშვილი („კოლმეურნე“), ... მიქელაძე („ბურევესტნიკი“);

100 კგ. ვ. გელაშვილი („განთია... დი“), შ. ახმედოვი („ლოკომოტივი“), დ. თავდგირიძე („ვოდნიკი“);

100 კგ-ს ზემოთ. მ. მერმანიშვილ... („შრ. რეზერვები“), მ. მეკოკიშვილ... („ბურევესტნიკი“), მ. ლომთა... („ლოკომოტივი“).

გუნდური: „განთიადი“ — 86 ქულა, „კოლმეურნე“ — 77, „ბურევესტნიკი“ — 58, „შრ. რეზერვები“ — 50, „ლოკომოტივი“ — 45, „ვოდნიკი“ — 44, „სპარტაკი“ — 43.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ი. ლეგაშვილისა და ზ. კუჩუბერიას შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა ლეგაშვილმა.



ბურთი თუ ავტომობილი?

მწვავე პრობლემა

ბურთმა და მანქანამ დაიპყრო მსოფლიო. მილიონობით ავტომფლობელი და ფეხბურთის მოყვარული ერთმანეთის პირისპირ დადგა. ავტომობილის სადგომებზე თამაშობენ ფეხბურთს, ფეხბურთის მინდვრებზე აჩერებენ მანქანებს.

უკვე დადგა დრო, როცა ყველა ბავშვს აქვს წაკუთარი ბურთი და არც ის დღეა შორს, ყველა ოჯახს საკუთარი ავტომობილი რომ ექნება.

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის. „გწერენ ბავშვები, მოზრდილები, შვობლები... ფეხბურთის მინდვრებზე აგებენ შენობებს, მანქანების სადგომებს. სტადიონებზე ზრუნავ ხშირად ბავშვების სუსტ მხრებზე. „ადადის, ავტომობილებს „ი შვობლები მფარველობენ.

ბურთი თუ ავტომობილი?

ეზოებში ბურთს ვეღარ თამაშობენ. ქალაქში ბევრი „ვარტალია, სადაც ერთი მარტივი ტიპის მოედანიც „ი არ არის.

ამონაწერი ერთი წერილიდან: **„გაცნობებთ ჩვენს გულისტკივილს — დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის № 2 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის მიმდებარე ტერიტორია ვიღაცის გადაწყვეტილებით 1976 წლის 20 აგვისტოდან გამოეყო ავტომოყვარულთა რაიონულ საბჭოს სადღეღამისო ავტო-სადგომის მოსაწყობად. სკოლამ დასახმარებლად მიმართა ქალაქის საბჭოს, ორჯონიკიძის რაიაღმასკომს, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომს... გვეგონა, რომ გაითვალისწინებდნენ სკოლის თხოვნას, მაგრამ...**

გთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა სკოლის მიმდებარე ტერიტორია გამოვიყენოთ სპორტული ბაზის მოსაწყობად.“

ხელს აწერენ სკოლის მოსწავლეები.

დავათვალიერეთ სკოლის მიდამო. ეზოში ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებია, რომლებიც ბავშვებითაა სავსე. ბურთს დასდევენ არა მხოლოდ სკოლის მოწაფეები, არამედ მთელი „ვარტლის ბავშვები. სამუშაო საათების შემდეგ „ი აქ შეზობლად მდებარე სტაბილური იზოტოპების კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებიც თამაშობენ ფეხბურთსა და კალათბურთს. ჰატარა მოედანი ამდენ მსურველს, რა თქმა უნდა, ვერ იტევს, თანაც „ალეთილების მიმდინარეობის დროს თამაში არ შეიძლება — მოსწავლეებს ხელი ეშლებათ მეცადინეობაში.

რა ქნან ბავშვებმა?

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ავტოსადგომის შენებლობა დაიწყებოდა, სკოლის დირექციამ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შრომელთა დეპუტატების აღმასკომს გაუგზავნა წერილი, სადაც სწერდა: „რესპუბლიკური № 2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექცია გაცნობებთ, რომ ამა წლის 8 ივნისს (1976 წ.) საქართველოს სსრ განმრთელობის სამინისტროს IV სამმართველოს და ქალაქჩროექტის თანამშრომლები იყვნენ სკოლის გარშემო ტერიტორიის დასათვალიერებლად, როგორც საუბრიდან გამოირკვა, ჩვენი შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთით აპირებენ პოლიკლინიკა-სტაციონარის აშენებას. თქვენთვის ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან „ვესაზღვრება სტაბილური იზოტოპების კვლევითი ინსტიტუტი. დასავლეთის მხრიდან, იზოტოპების ინსტიტუტსა და სკოლის ეზოს შორის რჩება მცირე ნაკვეთი, რომელზედაც თურმე სადღეღამისო ავტოსადგომის მოწყობაა დაგეგმილი.

თუ ზემოთ დასახელებული ყველა ობიექტი აშენდება, ბუნებრივია, ძალზე „ამინძურდება ჰაერი, „აც მნიშვნელოვნად იმოქმედებს ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე...“

ხელს აწერს სკოლის დირექტორი რ. გაბელაძე.

გავიდა ხანი და... ავტოსადგომი მაინც „შენდა. რაიაღმასკომიდან მოწერილ პასუხში იტყობინებოდნენ: „სკოლის მიმდებარე ტერიტორია რაიაღმასკომის 1976 წლის 20 აგვისტოს № 1562 გადაწყვეტილებით გამოიყო ავტოსადგომის მოსაწყობად. აღნიშნული გადაწყვეტილებით შესრულდა ზემდგომი ორგანოების განკარგულება“.

თითქოს ყველაფერი წესრიგშია — კანონი არ დარღვეულა, მაგრამ ფაქტია, რომ სკოლის მოსწავლეებსა და მთელი VII „ვარტლის ბავშვებს ბურთის სათამაშო მოედანი დააკლდათ.

მართალია, აღმასკომის წერილში არის დაპირება თითქოს ავტოსადგომი დროებითია და ბავშ-საბურთალოს გზის მშენებლობის დაწყებისთანავე იგი გაუქმდება, მაგრამ არავინ იცის, ეს დანაპირები როდის შესრულდება.

№ 2 ექსპერიმენტული სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა რაც არსებობს, უკვე ამაყობს თავისი სპორტული მიღწევებით. სკოლის მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ და საკავშირო სპორტულ სარბიელზე. სკოლის ორჯონიკიძის სახელობის რაზმი ტურიზმში საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონია მოსწავლეთა შორის, მოკურაევი ნინო ზალდასტანიშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია, ძმები დიმიტრი და ლევან აბესაძეები საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების წევრები არიან. დღითიდღე უკეთეს წარმატებებს აღწევენ მძლეოსნები — მიშუკა ჩიხლაძე და ალექსანდრე მექვაბიშვილი...

სკოლის სპორტულ მუზეუმში მრავალი სიგელი, დიპლომი თუ თასია გამოფენილი.

მიღწევებზე საუბარს რომ „რ გავაგრძელებ, უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ბავშვებს მოედანი სჭირდებათ. ამას სათანადო ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია და მთავრობა, ამის ნათელი დასტურია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციები. ზოგიერთი უგულისყურო ადამიანის გამო კი ბავშვები ზარალდებიან.

ბურთი თუ მანქანა? დღეს ერთის ან მეორის უგულებელყოფა უაზრობა იქნება.

თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ერთსაც და მეორესაც, და პირველ რიგში ეს პრობლემა ახალი კვარტალების დაგეგმისთანავე უნდა გადაწყდეს, რათა შემდგომში მსგავსი შემთხვევები ალბ მწვავედ არ დადგეს დღის წესრიგში.

ბ. კაკუაშვილი,
ვ. სამადაძე.

კონსტანტინე ლესელიძის მეორე მემორიალში გამარჯვებულნი

ი. გაიბალიევი

ვ. ელგიაკოვი

ზ. ასოევი

ს. პეტროსიანი


ვ. გოგუაძე


ტ. ცაგოლაშვილი


ბ. მამულაშვილი


ზ. ტარაევი


ა. ზოშიაშვილი

ჯ. კოკოევი

ფ. ალბოროვი

დასასრული

...ბაქსოვის დაძაბული, ქანცგამცელი წვრთნა-ვარჯიშის ფასად მოღებული ცოდნა-უნარი, მზადაა დაბარჯოს მოზღვავებული შინაური ენერგია და გამოიყენოს მთელი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი, ოღონდ გაიმარჯვოს, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მოხვედგეს. ამიტომაცაა, რომ ფინალური შეხვედრები, როგორც წესი, განსაკუთრებული სიმწვავითა და დრამატიზმით, ფიცხელი და უკომპრომისო ბრძოლით, ფიზიკური და მორალური ძალების უკიდურესი დაძაბულობით გამოირჩევა.

ასეა საერთოდ. ასე იყო აქაც, ბორში, კონსტანტინე ლესელიძის მემორიალზე.

მაგ. ასე, იწყება ფინალური შეხვედრები!

48 კბ. გონგის ხმა. რინგზე მხოლოდ ერთი მოკრივე, რუსთაველი ოსტატობის კანდიდატი ი. გაიბალიევი დგას და გაკვირვებული ასაკსაკებს ბოლოგამსხვილებულ ხელებს. რა მოხდა? მალე ყველაფერი ირკვევა; ფურმე მისი ერთადერთი მეტოქე უკანასკნელ მომენტში შეუძლოდ შეიქმნა და... მემორიალის გამარჯვებულის სახელი უბრძოლველად დარჩა მეტალურგთა ქალაქში აღზრდილ სპორტსმენს.

51 კბ. 20 წლის თბილისელი ვ. ელგიაკოვის პირისპირ გამოცდილი ოდესელი ოსტატი რ. ბაკი დგას. პირველმა რაუნდმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, შესვენების შემდეგ ჩვენი მოკრივე ნამდვილ შტურმზე გადადის. ბაკი გაოგნებულია, როგორც ჩანს არ მოელოდა ასეთ წინააღმდეგობას. მისი შეტევები ზედმეტად სწორხაზოვანი და უსუსურია. იგივე მეორდება მესამე რაუნდში. ყველაფერი ნათელია. ვ. ელგიაკოვი მემორიალის ლაურეატი ხდება.

54 კბ. ოსტატობის კანდიდატები ა. გრიქულოვი (რუსთავი) — გ. ასოევი (თბილისი). ორთაბრძოლა თბილისელი მოკრივის მძლავრი შეტევებით დაიწყო. რუსთაველი ყრუ დაცვაზე გადადის, აშკარად გაურბის ბრძოლას. თუ ასე გააგრძელა, საეჭვოა ბოლომდე გაძლოს. მეორე რაუნდიც პირველის ანალოგიურია. შეხვედრის გაგრძელებას აზრი არა აქვს და რეფერის მკვეთრი ხმაც გაისმის „სდექ!“ ორთაბრძოლა შეწყდა გ. ასოევის აშკარა უპირატესობის გამო.

57 კბ. კ. ლესელიძის პირველი მემორიალის ლაურეატი თბილისელი ოსტატი ს. პეტროსიანი თანაქალაქელ რ. შამოევს ხვდება. მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს და პირდაპირ შეტევაზე გადადიან. პირველ რაუნდში ძნელია რომელიმე მათგანს უპირატესობა მიანიჭო. სურათი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა. ყველაფერი ბოლო რაუნდმა უნდა გადაწყვიტოს. აქ პეტროსიანი უფრო მიზანსწრაფულად და ზუსტად მოქმედებს და საბოლოო გამარჯვებაც მას რჩება.

60 კბ. ერთმანეთს ხვდება ორი სხვადასხვა ხასიათისა და სტილის მოკრივე: ვ. გოგუაძე (თბილისი) — რაციონალური და ტექნიკური, ე. გავრილოვი (ქუთაისი) — ძალისმიერი და აგრესიული. ვ. გოგუაძე ლაღად, ეფექტურად მოქმედებს, თითქოს ცეკვავს რინგზე, თან „საქმესაც“ აკეთებს — მოულოდნელი, მახვილგონივრული დარტყმებით მომგებიან ქულებს აგროვებს. მისი მეტოქე კი აშკარად უგულებელყოფს დაცვას, ძირს დაშვებული ხელებით ჯიქურ მიიწევს წინ, მაგრამ ვალერი ხან გვერდზე იხრება, ხან კიდევ ყვინთავს ან უკან იხევს და მარჯვედ იცდენს მოწინააღმდეგის მუშტებს. მესამე რაუნდში მისი უპირატესობა აშკარა ხდება და მსაჯიც აჩერებს ორთაბრძოლას. ვ. გოგუაძემ ამავე მემორიალზე შარშან მოპოვებული მესამე ადგილი პირველზე „გადაცვალა“.

63,5 კბ. თბილისელების ტ. ცაბოლაშვილისა და ო. ქერიმოვის ფინალური შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა ტჯრიელის უპირატესობა და გამარჯვებაც მას დარჩა.

გულის სითბოც ჩააქსოვეს

67 კბ. წინასწარ და ნახევარფინალურ შეხვედრებში გააზრებული, ლაღი და ტემპერამენტიანი ბრძოლით თავი გამოიჩინა 19 წლის რუსთაველმა ოსტატობის კანდიდატმა ბ. მამულაშვილმა, რომელიც ამჯერად ფორთული ზ. კინწურაშვილის პირისპირ დადგა. ბონდო მაღალი ტანის, ვერცხლისწყალივით მოძრავი, ტექნიკური მოკრივეა. ეს თვისებები მთელი სისავსით სწორედ ფინალურ ორთაბრძოლაში გამოავლინა და ლამაზი, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

71 კბ. ბათუმელმა ა. ჩხაიძემ ვერაფერი გააწყო გამოცდილ ზ. ტარაევთან (ცხინვალი). მისმა მწვრთნელმა მეორე რაუნდში „კაპიტულაციის“ ნიშნად რინგზე პირსახოცი გადმოაგდო.

75 კბ. როცა დიქტორმა რინგზე ცხინვალელ ოსტატს ბ. გასოევსა და გორელ-ა. შოშიაშვილს უსმო, დარბაზში ოვაციამ აპოგეას მიაღწია. გაისმის გონგის ხმა, გნიახი დროებით წყდება და ცირკის თაღქვეშ დაბაბული დუმილი ისადგურებს. პირველ რაუნდში ყველაფერი გამოსდის ავთანდილს — დისტანციური და ახლო მანძილზე ბრძოლა, ძლიერი გვერდითი და პირდაპირი დარტყმები, მოკლე ჰუკები, თავსაც კარგად იცავს კორპუსის ცრუ-მოძრაობით. მეორე რაუნდში ყველაფერი ელვის სისწრაფით ვითარდება. გორელი მოკრივის მძლავრი დარტყმების შემდეგ მსაჯი ორჯერ ხსნის ანგარიშს. შემდეგ კი „სდექ!“ ყველაფერი ნათელია. ბრძოლა შეწყვეტილია აშკარა უპირატესობის გამო.

— ავთანდილს შესაშური ფიზიკური მონაცემები აქვს, — გვითხრა ა. შოშიაშვილის მწვრთნელმა, კრივის ენთუზიასტმა გიორგი კარელიძემ, — თანაც გულით უყვარს სპორტის ეს რაინდული სახეობა, ასე რომ, მისგან ბევრს მოველით. კრივის სექციაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი ვარჯიშობს, მაგრამ, სამწუხაროდ, წვრთნის პირობები სახარბიელო როდი გვაქვს. ახლახანს ქალაქის სპორტსკოლის შენობაში დარბაზი გამოგვიყვეს, მაგრამ აქ პარალელურად ქორეოგრაფიული ჯგუფის წევრები მეცადინეობენ და ძვირფასი დრო რინგის მოწყობა-აღებაში გვეხარჯება.

81 კბ. ცხინვალელმა ჯ. კოკოევმა აშკარა უპირატესობით დაამარცხა თანაქალაქელი რ. ბიგულაევი და საპატიო პირველი ადგილი დაისაკუთრა.

81 კგ-ს ზევით. მოხდა ისჯ, რომ ამ წონითს კატეგორიაში მხოლოდ ორმა მოკრივემ ცხინვალელმა ფ. ალბოროვმა და ბათუმელმა კ. მალახოვმა იასპარეზა. ამიტომ მათი ორთაბრძოლა პირველიც იყო და ფინალურიც, 18 წლის კ. მალახოვმა (იგი მხოლოდ 2 წელია კრივში ვარჯიშობს) ტოლი არ დაუდო შედარებით გამოცდილ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც ფ. ალბოროვს დარჩა და მემორიალის ორგზის ლაურეატი გახდა.

ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ, როცა მინელდა გულშემატკივართა ოვაციების ექო, როცა ნახევრადჩამობნელებულ სარბიელზე შეჯიბრების ორგანიზატორები და მსაჯებიღა დარჩნენ, დავით კვაჭაძე დავიმარტოხელე:

— სასიახარულოა, რომ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი ტრადიციად იქცა და ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება, — თქვა დავითმა. — ეს ტურნირი, უეჭველია, დიდად შეუწყობს ხელს აღორძინების გზაზე დამდგარი ქართული კრივის შემდგომ განვითარებას. მართალია, წლეულს ჩვენს შეჯიბრებაში ქვეყნის საუკეთესო მოკრივეებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა, სამაგიეროდ ახალგაზდა სპორტსმენებმა გამოსცადეს მკლავის ძალა. მათ შორის საკმაოდ არიან იმედისმომცემი მოკრივეები. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი კრივი აღმავლობას განიცდის და ეს სასიხარულო წინსვლა მომავალშიც არ უნდა შეწყდეს.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

ფეხბურთი ბიულეტენიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. „ფახთაქორის“ სტადიონი. 9 მაისი.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი) 3:0 (2:0).

„ფახთაქორი“: ჩეჩეტინი, უბაიდულაევი (კურნეევი), აშიროვი, მოგილნი, ზაგუმენნიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, მაკაროვი, ფიოდოროვი, ბაკანოვი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები — 2:0.

მატჩის დასაწყისში არაფერი იყო ისეთი, რომ თბილისელებს ელოდათ წაგება და ისიც ასეთი ანგარიშით. მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, შეტევებს მონაცვლეობითი ხასიათი ჰქონდა და ორივე მხარეს არაერთხელ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. კერძოდ, თბილისელთაგან ეს შეეძლოთ ჯერ ჩივაძეს, შემდეგ ქორიძეს, შენგელიას.

პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს 35-ე წუთზე „დინამოს“ მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი თამაშის შედეგად. ზაგუმენნიხის შორეულ დარტყმაზე მათ დროზე ვერ მოახდინეს რეაგირება და ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

გავიდა 5 წუთი და სტუმრების დაცვაში კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა, გაბელიამ შეძლო მაკაროვის დარტყმის მოგერიება, მაგრამ ბურთს მიუსწრო ანმა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, რამდენიმე შეტევაც განახორციელეს, მაგრამ როცა 53-ე წუთზე ფიოდოროვ-ჩურკინის კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა, მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი აღმოჩნდა. „ფახთაქორმა“ დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა ლიდერთან შეხვედრაში.

უმაღლესი ლიგა

8 და 9 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ 3.1. ლოკომოტიველთა კარში 2 ბურთი გაიტანა კოლესოვმა და ერთი — გერშკოვიჩმა. საპასუხო გოლის ავტორია გაზაევი.

„დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“ 1:0. კიეველებმა მრავალი შესაძლებლობიდან შეძლეს მხოლოდ ერთის გამოყენება (ბესონოვი).

„დნეპრი“ — „არარატი“ 0:1. სტუმრებმა გაიმარჯვეს ს. პეტროსიანის მიერ გატანილი ბურთის მეოხებით.

ცსკა — „ზარია“ 2:1. გამარჯვებულთა ორივე ბურთი ეკუთვნის ბელენკოვს, „ზარიას“ მხრივ კი გოლი გაიტანა კოლესნიკოვმა.

„ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“ 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ტორპედო“	6	3	3	0	10—2	9
„დინამო“ თბ.	6	4	1	1	7—5	9
„ფახთაქორი“	6	3	1	2	13—9	7
„დინამო“ მ.	5	3	1	1	8—5	7
„დინამო“ კ.	6	3	1	2	7—4	7
„ზენიტი“	6	3	1	2	8—9	7
„ზასტიორი“	5	3	0	2	6—4	6
ცსკა	6	3	0	3	7—7	6
„ჩერნომორეცი“	6	2	2	2	6—6	6
„ქაირათი“	6	2	2	2	7—10	6
„ნეფთჩი“	6	2	1	3	3—4	5
„ლოკომოტივი“	6	1	3	2	7—9	5
„არარატი“	6	2	1	3	3—5	5
„ზარია“	6	2	0	4	7—9	4
„სპარტაკი“	6	1	1	4	5—11	3
„დნეპრი“	6	1	0	5	2—7	2

წინგადადგმული ნაბიჯი

ტანვარჯიში

თბილისი განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა და თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. მასპინძლებმა, ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის მოსწავლეებმა გოგონათა და ვაჟთა სრულშემადგენლობიანი გუნდები გამოიყვანეს. „დინამო“ შეჯიბრებაზე მხოლოდ გოგონათა კოლექტივით გამოვიდა, ხოლო „განმიადსა“ და „შრომითს რეზერვებს“ არასრულყოფილი გუნდები ჰყავდათ წარმოდგენილი. ისეთი სპორტული ორგანიზაციები, როგორიც არიან „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ და ასევე აღნიშნულ ჩემპიონატში საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

პირად ჩათვლაში გოგონათა შორის თბილისს თასის მფლობელი გახდა დინამოელი ინგა ხატიაშვილი (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი მ. კრასილნიკოვა), რომელმაც 72,55 ქულა მოაგროვა. გათვლების განყოფილების მოსწავლეებმა — ნანა ნაცვლიშვილმა (მწვრთნელები, სპორტის ოსტატები დ. სირაძე და გ. გიუტაშვილი) და ქეთევან ციმაკურიძემ (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. ქოვლიევა) 70,8-70,8 ქულა მოაგროვეს და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

ვაჟებში თასს 102,85 ქულით „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი ჯ. ალთუნაშვილი (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი) დაეუფლა. 102,05 ქულით მეორე იყო ვ. საკილოვი („განთიადი“, მწვრთნელი ა. კვეტენაძე), ხოლო განათლების განყოფილების წარმომადგენელი მ. პაპიაშვილი (96,85 ქულა, მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. მიქელაძე) მესამე ადგილზე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც გოგონებში, ისევე ვაჟებში ჩემპიონები თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის ტანმოვარჯიშეები გახდნენ.

დასასრულ ვესაუბრეთ ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ილია მუჩაშვილს. აი, რა გვითხრა მან:

— წლევანდელ ჩემპიონატში მართალია, იგრძნობა წინგადადგმული ნაბიჯი რთული ელემენტების ათვისების მხრივ, მაგრამ, როგორც განელილმა შეჯიბრებამ დაგვანახა, ჩვენმა სპორტსმენებმა არც თუ ისე სახარბიელო შედეგები აჩვენეს. შედარებით სუსტად გამოვიდნენ ვაჟები. რამდენიმე სპორტულმა ორგანიზაციამ სრულად დაკომპლექტებული გუნდები ვერ გამოიყვანა, მაგალითად ჰ. შამუგია და გ. ბახია ტრავმირებულები არიან. მ. თათარაძე საკავშირო ნაკრებში გადის მზადებას საფრანგეთში სამატჩო შეხვედრის წინ. კ. ლაშხი, ა. ციცაკაძე და ფ. ბოკერია კიევში გამართულ უნივერსიადაში ღებულნენ მონაწილეობას.

ბ. დოლენჯაშვილი.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს ცალკეულ იარაღებზე.

გოგონები. ხტომები. 1. ი. ხატიაშვილი — 17,7 ქულა, 2. ს. მაისურაძე — 17,6, 3. ქ. ციმაკურიძე — 17,415. **ორძელი.** 1. ი. ხატიაშვილი — 17,15, 2. ა. ბაბასიანი — 16,725, 3. ს. ფილატოვა — 16,675; **დვირი.** 1. ნ. ნაცვლიშვილი — 17,2, 2. ლ. გოლცევა—17,225, 3. ი. ხატიაშვილი — 16,925; **თავისუფალი ვარჯიში.** 1. ი. ხატიაშვილი — 18,55, 2. ა. ბაბასიანი — 18, 3. დ. რევიშვილი — 17,45;

ვაჟები. თავისუფალი ვარჯიში. 1. ბ. ლონტიევი — 17,45, 2. ჯ. ალთუნაშვილი — 17,025, 3. ვ. სავილოვი — 16,9; **ტაიჯი.** 1. ვ. სავილოვი — 16,025, 2. ა. ხაჩატურიანი — 15.625, 3. თ. ეგრესაშვილი — 15,325; **რგოლები.** 1. მ. პაპიაშვილი — 16,775, 2. გ. სელიმაშვილი — 16,425, 3. ო. ტოგონიძე — 16,3; **ხტომები.** 1. ჯ. ალთუნაშვილი — 17,675, 2. ა. ლონტიევი — 17,275, 3. ვ. სავილოვი — 16,925; **ორძელი.** 1. ა. ხაჩატურიანი — 15,25, 2. მ. პაპიაშვილი — 14,75, 3. უ. ტოგონიძე — 12,875; **დერძი.** 1. ვ. ფეოდოროვი — 16,5, 2. ა. ხაჩატურიანი — 16,25, 3. მ. პაპიაშვილი — 15,675.

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო და დღეს მთავრდება სსრ კავშირის ფიგურული სრიალის უძლიერეს ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები.

სურათზე: სარბიელზე არიან ი. როდნინა და ა. ზაიცევი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ამჯერად მეორე ადგილზე

ჭიდაობა

სოფია. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა აქ დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ნაკრები 8 წლის განმავლობაში ლიდერობის შემდეგ, 47 ქულით (4 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი) II ადგილზე გავიდა. საბჭოთა გუნდს მხოლოდ ერთი ქულით აჯობა ბულგარეთის ნაკრებმა, რომელმაც 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა. III ადგილზე რუმინელი ათლეტები გავიდნენ — 29 ქულა.

წონითი კატეგორიების მიხედვით კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავეები არიან: ბულგარელები — ს. სტოიანოვი და ნ. სელიმოვი, ბ. იბრაგიმოვი (მახაჩყალა), მ. დუკოვი, ი. იანკოვი (ორივე — ბულგარეთი), კიშინიოველი პ. მარტა, შ. ლიუტვიევი (ბულგარეთი), უ. ნოიპერტი (გდრ), თბილისელი ლ. თედიაშვილი და კიეველი ბ. ბიგვევი.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს ბაქოელმა ტ. ფაშაევმა (მჩატე), მახაჩყალელებმა ს. აბსაიდოვმა (მსუბუქი) და ი. გაიდარბეკოვმა (პირველი ქვესაშუალო). კრასნოიარსკელი ვ. ბატნიას (მეორე საშუალო) „ბრინჯაო“ ხვდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სსრ კავშირის გუნდის ნახევარი ნაკრების დებიუტანტი იყო, სოფიაში საბჭოთა ათლეტების ასპარეზობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ახალბედათაგან აღსანიშნავია 22 წლის იბრაგიმოვის წარმატება. ვეტერანებში კი ყველაზე მეტ ქებას იმსახურებს 30 წლის ლ. თედიაშვილი. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველად იასპარეზა უფრო მძიმე წონაში (100 კგ-მდე) და ყველა ორთაბრძოლა მოიგო.

საბჭოთა სპორტსმენებს წინა აქვთ ქვეყნის ჩემპიონატი მინსკში (ივლისი) და მსოფლიო პირველობა მეხიკოში (სექტემბერი). (საკდესი).

ჰოკეი

პრაღაში დამთავრდა ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი.

8 მაისს ჩეხებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს შვეიცის გუნდს — 3:2, ხოლო სსრ კავშირის ჰოკეისტებმა დაამარცხეს კანადელები — 4:2.

ახლა დასკვნითი ეტაპის წინ გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	7	0	0	44—15	14
სსრ კავშირი	6	0	1	46—23	12
კანადა	4	0	3	32—26	8
შვეიცია	4	0	3	35—21	8

V-VIII ადგილებისთვის მებრძოლმა გუნდებმა დაიწყეს დასკვნითი ეტაპი. შედეგი ორი მატჩი. აი შედეგებიც: აშშ — გდრ 5:5, ფინეთი — გფრ 4:4. გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

გფრ	2	2	4	27—39	6
აშშ	1	2	5	30—47	4
გდრ	1	2	5	18—50	4
ფინეთი	1	2	5	27—38	4

ჯ. ჯ. თედეევი

გარდაიცვალა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე პავლე პეტრეს ძე თედეევი. მისი სახით საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის, განსაკუთრებით მძლეოსნობის აღმავლობისთვის ბრძოლას მთელი შეგნებული სიცოცხლე შეწირა.

პ. თედეევს ორი თვის შემდეგ უსრულდებოდა 72 წელი.

იგი თბილისში დაიბადა. ფიზკულტურასა და სპორტს სიჭაბუკიდანვე ეზიარა. 1926 წლიდან 10 წლის განმავლობაში იგი საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი იყო. შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტში ინსპექტორად მუშაობდა. იყო მძლეოსნობის სხვადასხვა სექციის, მწვრთნელთა საბჭოს, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი.

პ. თედეევი 1942-45 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ომის დამთავრების შემდეგ მძლეოსნების დასახმარებლად ხანგრძლივად მიავლინეს სამხრეთ ოსეთში. მან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 45 წლის ასაკში დაუსწრებლად დამთავრა. მუშაობდა სტალინირის პედინსტიტუტში მასწავლებლად, „ნაუკას“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგედ.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც პ. თედეევი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ და ფიზკულტურულ მუშაობაში.

პრინციპული, თავმდაბალი, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნი ადამიანის პ. ჰ. თედეევის ხსოვნა მუდამ დარჩება მის ამხანაგებსა და მეგობართა შორის.

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაცია; სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი.

ფეხბურთი

ახლა — ნახევარფინალში

ვარშავა. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა პოლონეთში მიმდინარე უეფა-ს ტურნირში ერთნაირი ანგარიშით 4:0 დაამარცხა საბერძნეთისა და ნორვეგიის გუნდები, რის შემდეგ ლიდერი გახდა თავის ჯგუფში. შემდეგ ჩვენს გუნდს თამაში ჰქონდა ჰოლანდიელებთან. ეს მატჩიც მოგებული იქნა — 2:0 და ახლა სსრ კავშირის ნაკრები ნახევარფინალში შეხვდება პოლონეთის გუნდს. მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ შოტლანდიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. ორივე მატჩი ჩატარდება 12 მაისს კრაკოვში.

თასი — „ეინდჰოვენს“

ჰაგა, 10 მაისი. ჰოლანდიის პსვ „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელებმა უეფა-ს თასის განმეორებითი ფინალური მატჩი მოუგეს საფრანგეთის „ბასტიას“ — 3:0 (პირველი დამთავრდა ფრედ — 0:0) და დაეუფლნენ ამ სპატიო პრიზს.

საინტერესოა, რომ „ეინდჰოვენი“ ჰოლანდიის მეორე კლუბია, რომელიც იმარჯვებს ზემოაღნიშნულ შეჯიბრებაში. 1974 წელს თასს ფლობდა „ფეიენოორდი“.

ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყუბანი“	6	5	1	0	12—3	11
„დინამო“ მ	7	4	2	1	13—7	10
ასკ რ.	7	3	3	1	11—6	9
„ტავრია“	7	3	3	1	11—6	9
„ნისტრუ“	6	4	1	1	9—5	9
„შინიკი“	7	2	4	1	6—4	8
„ტორპედო“	7	3	2	2	10—9	8
„თერგი“	7	4	0	3	7—9	8
„სპარტ“. ორ.	7	3	1	3	8—7	7
„ფალვარისი“	7	1	5	1	7—6	7
„კრ. სოვეტ.“	6	2	2	2	6—6	6
„კარპატი“	6	3	0	3	7—8	6
„სპარტ“. ი.-ფ.	6	2	2	2	4—6	6
„პამირი“	7	1	4	2	4—6	6
„კუზბასი“	6	2	0	4	6—7	4
„დინამო“ ლ.	7	1	2	4	9—13	4
„მეტალურგი“	7	0	4	3	5—9	4
„კოლხოზჩი“	7	0	4	3	4—10	4
„ურალმაში“	6	2	0	4	3—9	4
ასკ ოდ.	6	0	2	4	4—10	2

ამერიკის შეერთებულ შტატებში მესამე მატჩი გამართეს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კალათბურთელებმა. მათ ქალაქ ბლუმინგტონში მინესოტის შტატის თანატოლებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 83:53. ამ შეხვედრაშიც თავი ისახელა თბილისელმა დერიუგინმა, რომელმაც გუნდს 14 ქულა მოუტანა. ბელოსტენისა და ლინდინის ანგარიშზეა 10-10 ქულა.

სსრ კავშირის ჩემპიონებმა — ცსკა-ს კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს ბელგიის ქალაქ ლიეჟის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქვეყნის ფამილტონი მონობისაგან განთავისუფლებისადმი იყო მიძღვნილი. მათ გარდა მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის ვიცე-ჩემპიონი „ოსტრავა“, ესპანური გუნდი „პინედე“ და ადგილობრივი „სტანდარდი“. საბჭოთა კალათბურთელებმა სამივე გუნდი დაამარცხეს: „სტანდარდი“ — 96:86, „ოსტრავა“ — 113:82, ხოლო „პინედე“ 113:87. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ჩეხებმა სძლიეს ესპანელებს — 107:98.

ველოსპორტი

დამთავრდა მექსიკის საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის ტრასა 1600 კილომეტრი იყო. გუნდური პირველობა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა (გუნდი მთლიანად არმიელი მრბოლელებით იყო დაკომპლექტებული), რომლებმაც საბოლოოდ ფინიშამდე მისვლას 123 საათი, 6 წუთი და 18 წამი მოანდომეს. მომდევნო ადგილებზე არიან პოლონეთისა (123:11.54) და ურუგვაის ნაკრები (123:23.25) კოლექტივები.

მინსკელმა ა. მიკლაშევიჩმა მოიგო ყველაზე აქტიური მრბოლელის ტიტული.

პირად პირველობაში იმარჯვა ჰ. ჩარუცკიმ (პოლონეთი) — 40:41.33. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ კუიბიშეველი რ. გალიალეტდინოვი. მან მესამე შედეგი (40:46.00) აჩვენა.

კალათბურთი

მეთექვსმეტედ!

ვსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა 3 მაისს მეთექვსმეტედ დაიპყრეს. ეს შეძლეს ავსტრიელებმა ვ. ნაირზმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ხ. ბერგმანმა, რ. შაურმა და ნეპალელმა გამყოლმა ანგ ფუმ. მათ 8848 მეტრ სიმაღლეზე დაანლოებით საათი დაჰყვეს. ამრიგად, 1953 წლის მაისიდან, როცა ე. ჰილარიმ და ნ. თენსინგმა პირველად დაიპყრეს ჯომოლუნგმა, მწვერვალზე ავიდა 62 ადამიანი.

თანამეგობრული ხუთეული

დონეცკში გაიმართა თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება. პირველიდან სახეობიდან გამარჯვებისთვის უშელავათო ბრძოლა გააჩაღეს ერევნელმა ს. აღლაძემ და უნგრეთის გუნდის წევრმა გ. პაიორმა. საბოლოოდ აღლაძემ 5369 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. პაიორი მას 21 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მოგება, მეცხრამეტე ტირაჟი.

აი, იობლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 4, 5, 27, 36, 38, 41. შეღავათიანი ბურთული — 35.

„სპორტლოტო-2“: 10, 17, 19, 20, 23, 24. შეღავათიანი ბურთული — 11.



სეზონი თბილისში იწყება

საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე

დღეს თბილისის ცენტრალურ ტრეკზე სტარტს აიღებს ველოსიპედისტთა მესამე საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე.

ამ ასპარეზობის წინა ორმა ტურნირმა ტრეკზე ველორბოლის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საასპარეზოდ თბილისში უკვე იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადების პრიზიორები, მაგრამ ორივეჯერ სასურველი ჯილდო მოიპოვა საბჭოთა ველოსიპედისტმა, კიშინიოველმა ოსტატმა **ა. იაბლუნოვსკიმ.**

წლეულს, პრიზის მესამე გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, გფრ-ის, იტალიის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების წარმომადგენლები, რომლებისთვისაც წლევანდელი სეზონი ფაქტიურად თბილისიდან იწყება. რა თქმა უნდა, ძვირფასი ჯილდოსთვის სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრების წევრებიც იბრძოლებენ. საქართველოს ველოსიპედისტები ამ დიდი ასპარეზობისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის **ო. ფხაკაძის** ხელმძღვანელობით მოემზადნენ.

მაყურებლები ნახავენ ტრეკზე რბოლის პროგრამის თითქმის ყველა სახეობას, რომლებშიც სხვადასხვა ჯილდო თამაშდება. ტელევიზიის დიდ პრიზს კი ერთმანეთს სპრინტერები შეეცილებიან.

გუშინ თბილისის ცენტრალურ ველოსტადიონზე გაიმართა ამ საერთაშორისო ასპარეზობისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია, რომლის მუშაობაში ყველა გუნდის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ველოსტადიონი (დირექტორი ვ. ბარკალაია) ტურნირს ყოველმხრივ მომზადებული შეეგება. სპორტსმენებს წვრთნისა და ასპარეზობისთვის საჭირო ყველა პირობა აქვთ შექმნილი. შეჯიბრებიდან თავისუფალ დროს სტუმრები გაეცნობიან საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

თბილისის ცენტრალური ტრეკ სპორტის მოყვარულებს იწვევს საინტერესო შეჯიბრებებზე დასასწრებად. დღეს სტარტი 16 საათზე.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — 07830